წელიწადი პირველი

ფასი 3 კაპ.

რედაქციის ადრესი: გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.


# ახალი დროება

შმიდტი შეიწყალეს: დახრჩობა დახვრეტაზე შეუცვალეს.—რუსის რევოლიუციონერები შუამდგომლობენ ნაგასაკში (იაპონიაში) ყოველ დღიურ გაზეთის გამოცემის შესახებ.—ბაქოს გიმნაზიებს კაზაკებმა ალყა შემოარტყეს.—ბაქოში მოწაფეთა მღელვარებაა.—მიწის ძვრა ტფილისში.—ცეცხლი ჩოხატაურში.—რუსის ჯარების რაოდენობა გურიაში.


ტფილისი, სამშაბათი 7 მარტი (20) 1906 წ.

№ 3 ყოველ დღიური გაზეთი. № 3



## ახალი დროება

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წლიურად 5 მან., 6 თვით 3 მან., ცალკე № 3 კაპ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება:

**ტფილისში:** რედაქციის კანტორაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

**ქუთაისში:** „კოლხიდა“-ს ამხანაგობაში, ტრიფონ დამბაშიძესთან

**ბათუმში:** „გეორგია“-ს ამხანაგობაში.

**ბაქოში:** ბ-ნ პლატონ დ. გელოვანთან, ნიკოლაევსკის ქუჩა, №39.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდე.



**ექიმი ჟ. მ. ჩიქოვანი**

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

—

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის**

**ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირების გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფნი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახევ.—10 საათ. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყ.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობ.

**მ. გ. ავეტისიანი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

**კ. ი. გძელიშვილი:** 11—ს, ყურისა, ცხვირისა, და ყელის ავადმყოფობანი.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1 ნახ.—2 ს. საშვილოსნო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფ.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 ს. ქალისა და საშვილოსნო ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ა. მ. პუზინოვი:** 5—6 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

**ნ. ზ. აბიანცი:** 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 7—7 ნახ. ს. რჩევა დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

**სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ტლ.).


### ტფილისი 7 მარტი.

ხან მოკლე იყო ჩვენი შვება და სიხარული. უნიადაგო იყო ჩვენი მღელვარება. მთელი ერი ბრმასავით სინამდვილეს ვერ ხედავდა, გამარჯვებას დღესასწაულობდა, როდესაც ჯერ ბრძოლის ველზედ არ გამოსულიყო და არც ემზადებოდა გამოსასვლელად. დარწმუნებული იყო, რომ ყვირილით მოიპოვებდა თავისუფლებას, აჩქარება და მოუფიქრებლობა იყო მიზეზი ჩვენის დღევანდელ უბედურებისა.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რამდენადაც დიდი იყო პოლიტიკური სიბეცე და მოუმწიფებლობა. ვინ ასწონის იმ საშინელებას, რომელიც თავს დაგვატყდა! შაჰ-აბაზის დრო განმეორდა, წაბილწულ-შეურაცხოყილია ჩვენი ადამიანური ღირსება და თავ-მოყვარეობა. ტყვილა ვაფრქვევთ მდუღარე ცრემლებს. ტყუილია ხვეწნა-ვედრება და დაპირება, ტყუილად დავარდნილვართ მუხლმოდრეკილნი ტალახში, ტყუილად ვიმცირებთ თავს. არაფერმა არ გასჭრა! გადამწვარია დაბა-ქალაქები და სოფლები, გაუპატიურებული არიან დედა-კაცები, აურაცხელ ყმაწვილობას ხოცვენ, აწყვდევენ, აწამებენ, მეტი უბედურება წარმოუდგენელია...

ხალხი შეშინებული და თავზარდაცემულია. სადღაა გუშინდელი სიამაყე და აღფრთოვანება! თავი ამოჰყვეს ქვემძრომთ და მიჰყვეს ხელი ძველებურ ხელობას. ხალხი მზად არის დაამსხვრიოს ის კერპი, რომელსაც გუშინ თაყვანს სცემდა, და კვლავ გააღმერთოს მონობა. გამეფდა საშინელი რეაქცია. აზრმა სინათლე მოიშორა და ისევ სიბნელეში შესცურა. გლეხმა ისევე ადვილად უკუ აგდო ახალი შეხედულება, როგორც ადვილად ჰქონდა შეთვისებული. და დღეს იმგვარსავე შავბნელ სურათს ვხედავთ, როგორსაც წინად, ისევ ძველებურ გლეხს, მონობის მოტრფიალეს, დამცირებულს, გაუბედავს, გულგრილს საზოგადო საქმეებისადმი.

სახელმწიფო სათათბიროო? შეიძლება გვკითხონ. პასუხი ერთად-ერთია: სჯობს ფუჭი იმედებით თავს ნუღარ მოვიტყუებთ, დავაღწიოთ ბარემ-ღა თავი შეცდომებს და უტოპიას.

მაშ ისევ მონობა, სისაწყლე სიმშილი? არა, კიდევ უარესი მოგველის: ვიყოთ, თუ არ ვიყოთ? აი ეს საკითხია გადასაწყვეტი...

ერთი რამ არის ყველაზედ უფრო საშიში. ვაი თუ ხალხი სულით დაეცეს, ხელი მოუშვას! ამაზედ უარესი არა იქნება-რა. გავიხსენოთ, ჩვენი წინაპრები: ჭირში უფროც გაფოლადდებოდენ და გამაგრდებოდენ ხოლმე და ისტორიული განსაცდელისაგან გამარჯვებულნი გამოდიოდენ. გმირულად იბრძოდენ და ვაჟკაცურად ეგებებოდენ სიკვდილს როცა საჭირო იყო. თუ კი მარჯვე დროს იშოვიდენ პირდაპირ და დაურიდებლად მოქმედებდენ...

მაშ შრომაა საჭირო და არა გულზე ხელის დაკრეფა. მაგრამ, რომ შრომამ ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა საერთო საქმეს არავინ უღალატოს. ავი საქმით მოპოვებული ბედნიერება ხან-მოკლეა და თავის დამონებითა და ქვემძრომობით არავის მოუპოვებია კეთილ-დღეობა. სწორედ ახლაა საჭირო ერთობა, ახლა გვმართებს, რომ თვითეულმა ჩვენგანმა თავისი პირადი, კერძო სქმაე კერპად არ გაიხადოს და „სახვსი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, არა სთქვას. ჩვენი უბედურებაც ის იყო, რომ, თუმცა [illegible]ვრსა ვყვიროდით „ერთობაზედ“, ნამდვილად კი არავითარი ერთობა არ გვქონია. ყველა თავის პირად ინტერესებს აღმერთებდა, თავის მუცელს ემსახურებოდა და საზოგადო საქმისათვის არა ემეტებოდა...

ნუ თუ ისტო[illegible]ულმა მაგალითმა არაფერი უნდა გვას[illegible]ვლოს?! ნუ თუ თვითეული ჩვენგანი ამას იქითაც ისევ პირად კუჭის-მრწამსს უნდა აჰყვეს? დროა შევიგნოთ, რომ დათვლილია დღ[illegible] იმ ერისა, რომლის შვილთაც [illegible] „მრწამსი“ აქვთ აღსარებულ[illegible] და მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითეული კაცი საზოგადო, საერთო საქმეს მიიჩნევს თავის პირად საქმედ, როდესაც თვითეული სხვასთან იქნება და ყველა ერთად,—რასაკვირველია, საქმით და არა მხოლოდ ენით, როგორც აქამდე იყო. მხოლოდ მაშინ მოგვეცემა იმედი, რომ ქართველი ერიც არ მოისპობა, არ აღიგვება პირისაგან ქვეყნისა.

---

### გზა და გზა

თითქმის წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ მეზობლებს სომხებ და თათრებსშუა საშინელი, შეუბრალებელი სისხლის ღვრაა, რომლის მსგავსი თავის სიმკაცრით და სისულელით ისტორიამ არ იცის... ორივე მებრძოლი მხარე არაფერს არ შურავს მოპირდაპირის გასანადგურებლად, მოსასპობად. მთელ სოფლები და ქალაქები გადასწვეს, მცხოვრებლები წყვეტენ ერთმანეთს, არ ინდობენ, არც მოხუცებულს, არც ბავშს, არც დედაკაცს. სისხლის მორევში სცურავს ადგილები დასახლებულნი ამ ორ მეზობელ ხალხით. ვინ არის დამნაშავე ვინ გადაკიდა ეს ორი საუკუნოებით მოყვარული და ძმურად მცხოვრები მეზობლები? ამის გამოცნობა ასე ადვილი არ არის. სომხები თათრებს აბრალებენ, მიზეზათ ნიშნავენ მათ გაუნათლებლობას, შურს, მტაცებლობას და სხვას- თათრებიც არ რჩებიან უკან სომხებს, ისინი ხმა მაღლა ყვირიან: სომხებს ყველაფერი თავისთვის უნდათ, მათ სივერაგეს, გაუმაძღრობას, მოხვეჭის სურვილს საზღვარი არ უდევსო. ორივე მხარემ დიდი ენერგია გამოიჩინა, რომ მთავრობა თავის მხრივ გადაებირა.

იქ, სადაც ცხოვრობენ, ერთმანეთს ჟლეტენ, ავლა დიდებას უნადგურებენ და მერმე დეპუტატებს აფრენენ კავკასის უმაღლეს მთავრობასთან და ერთმანეთს აბეზღებენ ბევრმა მოხელემ დალია სული მხოლოდ მისთვის, რომ ბრალდებოდა ცალ-მხრივობა, თათრების მიდგომილება. ყალბი დეპეშების შედგენას, მოკლულთა რიცხვის მომატებას ხომ [illegible]ღვარი არ ჰქონდა. [illegible]რთი სიტყვით ნამდვილი ბრძოლა, სასტიკი ომია ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის.

მთავრობამ ბოლოს გარდასწყვიტა კრება მოეხდინა ამ ორ მებრძოლთა წარმომადგენლებისა.

კვირაზე მეტია, რაც ეს კრება გაიხსნა თფილისში ნამესტნიკის თანაშემწის გენერალ მალამას თავმჯდომარეობით.

ერთი გადახედვა კმარა, რომ სთქვა, ამ წარმომადგენლებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთო. ეგ ის ბრმა ვაჟ-ბატონები არიან, რომელნიც უსისინებდნენ, აქეზებდენ უვიც და სიბნელეში მყოფ თანამოძმეთ მეზობლის გასაჟლეტად, იარაღს შოულობდენ მათთვის, ნამდვილ ომს იხდიდენ, სხვის უმანკო სისხლს ღვრიდენ, თვითონ კი მხარ თეძოზე წამოწოლილნი ძვირფას ხალებზე ნარდსა და ვინტს შეექცეოდენ. ბოლოს, როდესაც მოუვიდოდა ამბავი ეს და ეს სოფელი განადგურდაო, საჩქაროდ გადიცვამდენ ფრაკს, გაიგდებდენ წინ ერთ ორს ბერს და დეპუტატებად გამოეცხადებოდენ ნამესტნიკს. სიმართლე გვაიძულებს ვთქვათ, რომ თათრები იშვიათად ხმარობდენ ამ საშუალებას. თუმცა მათის მხრით მსხვერპლი უფრო მეტი იყო, მაგრამ მაგალითი არ ყოფილა, რომელიმე მოლა მოსულიყოს დეპუტატად უმაღლეს მთავრობასთან.

საინტერესოა ამ კრების წევრების მდგომარეობა. ნეტავი ვისი ამორჩეულნი არიან, სად იყო კრება მოწვეული მათ ამოსარჩევათ? კერძო ლაპარაკში და იქაც კრებაზე, თავიანთ თავს ხალხის ამორჩეულებს ეძახიან. თუმცა ხალხს მათთან არაფერი საერთო არა აქვს. არც ერთ მხარეს ამ კრებაზე არ სურს შეეხოს ნამდვილ მიზეზს სისხლის ღვრისას, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ ერთმანეთს ნიშნს უგებენ, თქვენა ხართ მიზეზი სისხლის ღვრისაო.

მესამე კრებაზე თავი ისახელა სომხების წარმომადგენელმა ალ. ხატისოვმა, ამ ვაჟბატონს, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად ავიწყდება კბილების დანიშნულება, ? ყოველი სისულელე, რომელიც კი მოადგება პირზე იმის მაგიერ, რომ კბილები მოუჭიროს და არ წარმოტორტლოს, ის უსათუოდ ეცდება წამოროშოს— აი ამ ვაჟბატონმა განიზრახა ეჩვენებია, როგორც მთავრობის წარმომადგენლისთვის, ისე თათრებისათვის, ძლიერება სომხის ერის დამცველების, დაშნაკცუტუნებისა. ბ. ხატისოვმა შორიდან დაიწყო. მოახსენა კრებას, როგორ შედგა ეს „მრისხანე“ რაზმი, რასაკვირველია, ახსენა გაკვრით ბერლინის ტრაკტატის 61 მუხლი, სისხლის მსმელი სულთანი, „ბრატუშკების“ განთავისუფლება რუსებისაგან, ღენერალი ჩერნიავსკი და ბოლოს დიდი სიამაყით აცნობა კრებას საიდუმლო, რომელიც ჯერ მის მეტმა არავინ იცოდა. „ჩვენ ვამაყოფთ ჩვენი მრისხანე რაზმით. რომელიც რუსის საქმეს ემსახურება კავკასიაში და რომლის უმაღლესი წარმომადგენელი თვით ხელმწიფის წარმომადგენელი არის კავკასიაშიო. მის მზრუნველობით ამ თუთხმეტი წლის წინედ შედგა იგიო. ჩვენი რაზმები რუსის საქმეს ემსახურებოდა ყოველთვის კავკასიაში და ამ მისიას განაგრძობენ შემდეგშიო. ჩვენ ხალხს მუდამ ის სურვილი ასულდგმულებს, რომ მახვილს რუსის მეფისას გამარჯვება მიეცესო. დიდ ხანს სცემდა შადრევანი ბაგეთაგან ხატისოვისა.

უთუოდ ბევრი იცინა გრაფმა ვორონცოვმა გულუბრყვილო ხატისოვის სიტყვების გაგონებაზე და ეჭვი არაა დიდ მადლობასაც მიიღებს მისგან. ხუმრობაა, დაშნაკცუტუნების უფროსობის წყალობა!..

დაწყნარდით, ბ. ხატისოვო, კარგად ვიცით, არა თუ თქვენ, ყველა ისინიც, ვინც რუსის საქმეს „ემსახურებოდენ“ ამ ასის წლის წინედ და რუსის ჯარებს მოუძღოდენ კავკასიაში, ყველა „დაშნაკცუტიუნი“ იყვენ და ახლაც ბრძანებით ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით უთქვენოდაც.

მაგრამ შეიძლება მკითხოთ, სად ყავს ბ. ხატისოვს დაბანაკებული თავის რაზმები, რომლის უფროსობა ასე გულუხვად უბოძა ნამესტნიკს?

გაიარეთ თამამშევის ქარვასლასთან და იქ ნახავთ კურტანზე მიყრდნობილს გამხდარს, უბინადროს, გადმოჭვეწილ მუშას. აი ასეთებიდგან და მათ მსკავს მეეზოვეებისაგან შედგება ხატისოვის „მრისხანე“ რაზმი. საბრალო იყო მათი მდგომარეობა ამ ორი თვის წინად, ახლა კი უმრავლესობა მათგანი განდევნილ სპარსელების საწვრილმანო და ხილეულობის დუქნებში ვაჭრობენ. აი ამ კუჭის საქმეს ემსახურებიან დაშნაკცუტუნები კავკასიაში! ბ. ხატისოვმა ქართველებიც არ დაივიწყა თავის სიტყვაში, ჩვენ სხვებსავით ავტონომია არ გვინდაო, ჩვენ მხოლოდ ფართო თვითმართველობა გვწადიანო. უთუოდ ისეთი, როგორც თფილისის საბჭოში აქვთ განხორციელებული!

საბრალოა ის ერი, რომლის წარმომადგენელი უარს ყოფს ავტონომიას, თავისუფლებას და გუნდრუკს უკმევს ჯიბის და კუჭის ინტერესებსა და მეზობლის ყვლეფაზე ამყარებს თავის კეთილ-დღეობას ამისთანა ერი ღირსი არ არის პოლიტიკურ თავისუფლების და ვერც როდისმე ეღირსება მას.

№

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ **ახალი ქართული გაზეთები:** კვირას, 5 მარტს გამოვიდა ორი ახალი გაზეთი ქართულ ენაზე: ყოველდღიური „განთიადი“ თ. კიკვაძის რედაქტორობით და „ივერია“—ყოველ კვირეული. ამავე დღეს გამოვიდა რუსულ ენაზე გაზეთი „სოვრემენნიკი“, რომელიც დაკეტილ „ვოზროჟდენიისა“ და „კავკაზსკოე უტროს“ ხელის მომწერთაც დაურიგდებათ.

✦ **ქველი ქართველ ჯარის კაცთა რუსეთში გაგზავნა.** აქამდე ჯარში გაწვეულ ახალგაზდების ერთ ნაწილს კავკასიაშივე ტოვებდენ, ამ წლიდან კი ყველანი რუსეთში გაგზავნეს სამსახურისათვის.

✦ **გურიაში.** გურიაში ჯარი ასე ყოფილა განაწილებული: ჩოხატაურში დგას 5 როტა და 12 კაზაკი, ლანჩხუთში—1 როტა, ნატანებში 2 როტა, სუფსაში—40 პლასტუნი, ხოლო ოზურგეთში კი იმყოფება ქვეითა ჯარის კაცთა პოლკი, პლასტუნთა ბატალიონი, ორი ზარბაზანი და ლაბინის პოლკის 50 კაზაკი. (სოვრემ.)

✦ **ცეცხლი ჩოხატაურში.** როგორც გვატყობინებენ, 28 თებერვალსა და პირველს მარტს ღამით ჩოხატაურში ცეცხლი გაჩენილა. პირველ ღამეს ოთხი სახლი დამწვარა, მეორეს ხუთი.

✦ თათრულ გაზეთ „არშადის“ განუზრახავს გააცნოს თავის მკითხველებს ქართველების ცხოვრება და მისწრაფებანი.

✦ **ლექციები.** კვირას, 5 მარტს, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში დაიწყო საჯარო ლექციების კითხვა ტფილისის კონს.-დემ. [პარტიის ბიუროს წევრმა. პირველი ლექცია წაიკითხა ი. თ. სემიონოვმა, ლექტორმა ჯერ დაახასიათა სხვა და სხვა პარტიების პროგრამები და მერე გამოსთქვა სურვილი სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების შესახებ. მეორე ლექცია წაიკითხა ა. ა. ქალანთარმა აგრარულ საკითხის შესახებ.

✦ **სომეხ-თათართა მორიგება.** სოფ. კოდიდან გვატყობინებენ, 2 მარტს ტფილისის მაზრის უფროსმა შანშიევმა თავი მოუყარა თფილ. მაზ-

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## „...ᲨᲔ ᲛᲢᲐᲠᲕᲐᲚᲝ!“

### I

ძირს, დაბლა რომ ჭურდმულია,
იქა ვცხოვრობ, „შე მტარვალო“!
არ შევდრკები, მტკიცეთა მრწამს,
გინდ თავს ლოდი დამახალო.

რას იცინი?.. რომ ეს ბედი
შრომის შვილსა არ ასცდება?!...
გამუდმებით თუ ჩაქუჩს სცემ,
კლდეც ინგრევა, რკინაც ტყდება....

მერე რა რომ უფსკრულს გზიგარ,
იმედს გაძლევს განა ესა?!..
რომ სიბნელე არსით უშვებს
ჩემთვის მჭუვინავ ცხოველ-მზესა?...

წინეთ, როცა ცხოვრების გზა
სიმდიდრეში მიცურავდა,
მოყვარე და მეგობარი
მტრებშიდაც კი ბევრი მყავდა.

ძირს, დაბლა რომ ჭურდმულია,
იქა ვცხოვრობ, „შე მტარვალო“!.
არ შევდრკები, მტკიცეთა მწამს,
გინდ თავს ლოდი დამახალო.

### II

ძვირათ არის ცა ნათელი,
ბნელს მოუცავს არე-მარე,
ვარსკვლავები მიბნედილან,
კლდე-ღრეს მიეფარა მთვარე.

აქეთ ელვა, იქით ჭექა,
ბნელი ჩრდილავს სინათლესა,
ცას ქვეშეთი მხარს უმზადებს
ქანც გაწყვეტილ სიცოცხლესა...

მაგრამ მაინც ვერას მაკლებს,
ვერ მიტეხავს გულს გრიგალი,
მედგრად დავჭქე ჩემ სვე და ბედს
და ბანს მაძლევს ქარიშხალი

დაბლობზე რომ ჭურდმულია,
იქა ვწვალობ, „შე მტარვალო“!.
მტკიცეთა მწამს, არ შევდრკები,
გინდ თავს ლოდი დამახალო.

### III

ბრბოსა აღარ გავურბივარ,
მასთან ერთად მინდა ვიყო,
გინდ ამ ქვეყნით გადამტყორცნონ
და ზღვას იქით გადმირიყო...
იქაც ისე, როგორც აქა
არ მოვიხრი ქედს არვის წინ,
ჯოჯოხეთსაც შევებმები....
დავგმობ მტარვალს გენიის წინ.

დახე!.. აქაც ვმხიარულობ,
ბრბოს ხარხარი მასულდგმულებს,
ტანჯვა ვერ მკლავს, რადგან მასში
ვხედავ ჩვენთვის ჯვარზე ცმულებს.

ძირს, ქვეშეთს რომ ჭურდმულია,
იქა ვდგევარ, „შე მტარვალო“!..
მტკიცეთა მწამს, არ შევდრკები
გინდ თავს ლოდი დამახალო!..

აბსოლიმან.
1906 წ. ჳ

## ᲔᲠᲗᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ.

მოვტყუვდით!—მაშ საიდან გაჩდენ ამდენი ხულიგანები?—იმერეთის აოხრება.—ციხე შიგნიდან ტყდება.—მაინცა გვწამს.

ეს სამი თვეა, ჩემო მკითხველო, რაც ნებით თუ უნებლიედ, ვსდუმდი. სამი თვე! თითქოს დიდი დრო არ არის გასული, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ გადაგვხდა თავს შენცა და მეც, რომ ამ ჟამად სათქმელადაც კი ძნელია.

რომელი ენა გამოსთქვამს, მაგალითად, იმ სიხარულს, იმ თავდავიწყებასა და ნეტარებას, რომელიც ჩვენ განვიცადეთ წარსული წლის 18-დან 22 ოქტომბრამდე!

მაშინ პირველად ვიგრძენით, რომ ჩვენც ადამიანები ვყოფილვართ, ჩვენც შეგვძლებია ალტაცება, სულით ამაღლება, სიმღერა. მაშინ პირველად დავინახეთ ერთობის ძალა. ასის წლის დამონებისა და დამცირების, შემდეგ ჩვენ პირველად გავუშტერეთ თვალი მზის სხივებს, ზურგი ვაბრუნეთ მტარვალებს და მთელის ჩვენის არსებით წამოვიძახეთ: „მონები აღარა ვართ, გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს თავისუფლებასაო!“

დაგვავიწყდა წარსული მწარე დღეები, დაგვავიწყდა გამოვლილი ტანჯვა-ვაებაც და უმანკო ბავშვე-

რის სამხრეთით დასახლებულ სომეხ-თათართ სასულიერო პირთა მეთაურობით და შეარიგა.

— **საინტენდანტოს მიერ სურსათის მზადება.** მთავარ საინტენდანტოსაგან აქაურმა საინტენდანტო გამგეობამ დეპეშით ცნობა მიიღო, რომ საინტენდანტოს მზადა ჰქონდეს ყველა სურსათი.

✦ **შეპყრობილ მღვდლების საქმე.** როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, ახლახან ციხიდან განთავისუფლებულ ნაღორევის მღვდლის ლავრენტი ჰამკვატაძის შესახებ გამოძიება სწარმოებს. იგი პირველად რაღაც ეჭვით დააპატიმრეს. აგრეთვე იძიებენ, თუ რომელს მღვდელს რა პოლიტიკური დანაშაულობა ედება ბრალად.

✦ **ბოიკოტი მემამულეს.** დუშეთის მახლობლად მდებარე სოფლებში ერთს მემამულეს, გენერლის მეუღლეს ჩილიაევს, გლეხები ძალიან შეუვიწროებია და მომავალ წლისათვისაც მიწებს მოსახნავად საშძიმო პირობებით აძლევს, ამიტომ გლეხებს გადაუწყვეტიათ ამ მემამულის მიწა არ შეიმუშავონ.

✦ **გასტროლი.** კვირას, 12 მარტს, სახაზინო თეატრში ცნობილი მსახიობი კრუჩინინი პირველს სагასტროლო წარმოდგენას გამართავს. მის დასშია—მთელს რუსეთში სახელგანთქმული არტისტი-კომიკი ვარლამოვი და სხვა მსახიობნი საიმპერატორო თეატრისა.

✦ **პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება.** როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში ბაქოს ციხიდან გაუნთავისუფლებიათ თორმეტი პოლიტიკური პატიმარი, რომელნიც რკინის გზაზე მსახურობდენ. მათი გვარები: კალანდაძე, შენგელია, კვაჭაძე, კორძაია, კლდიაშვილი, სავლიაკი, ბერშტეინი, კუსტო, ოხეროვი, ლუნდი, ლადიძე

✦ **სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა.** შარშან კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიას სთხოვა ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის შესანახად საერობო თანხიდან ყოველ წლივ 5,000მ. გადასდეთო. კანცელარია თავის მხრივ ამ თხოვნის დაკმაყოფილებას შესაძლებლად სცნობს, ხოლო საგნის საბოლოოდ გადაწყვეტა ნამესტნიკის საბჭოს დაევალა.

---

## ნარკვევი

ჟურნალ გაზეთებიდან.

ჩვენში რომ სოციალ-დემოკრატია უდგა სათავეში რევოლიუციურ მოძრაობას, რომ მთელი ჩვენი ერი გაჰყვა იმ პარტიას, რომელმაც უარჰყო ყოველივე ეროვნული მისწრაფება, ეს ამბავი განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის ისტორიაში. სხვა ნაკლთან ერთად ამ პარტიას კიდევ ის დიდი ნაკლიც სჭირდა, რომ მეტის-მეტად აზვიადებდა თავის ძალას. გაზეთი „ივერია“ ამბობს ამის შესახებ:

„ყოველ მიტინგზე, ყოველ სააგიტაციო კრებაზე მუდამ ლაპარაკი იყო შეიარაღებულ შეტაკებაზე და ორატორები წინ და წინვე გამარჯვებას დღესასწაულობდენ. სოციალ-დემოკრატებს 500 თოფიც არ ჰქონდათ თფილისში რაზმების შესადგენათ, იარაღისთვის ნამესტნიკს მიმართეს. და იმავე დროს რუსეთის ლაშქარს უპირობდა იარაღით დამარცხებას...“ („ივერია“ მარ.)

ამგვარი ტაქტიკის ნაყოფს უკვე განვიცდით. სამწუხაროდ სოციალ-დემოკრატიამ ვერ ისწავლა ჭკუა და ისევ ძველებურ ჰანგზე მღერის.

—

ქართულ ლიტერატურას შეეძინა ახალი გაზეთი „განთიადი“ (5 მარტ.) ამ გაზეთის მიმართულებას ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით. მაგალითად, „განთიადმა“ ვერ შეამჩნია და არ აღნიშნა ის სამწუხარო მოვლენა, რომ უფლება-მოსილმა ბიუროკრატიამ განსაკუთრებული სიმკაცრე და სისასტიკე გამოიჩინა განაპირა ქვეყნებში. ყველაზედ უფრო დასჯილ იქმნენ საქართველო და ბალტიის მხარე. მართალია, რუსეთშიაც ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა, ბევრი თავ-ზარ-დამცემი ამბები მოხდა, მაგრამ ისეთი ბარბაროსობა, როგორიც დაატყდა დასავლეთ საქართველოს და გორის მაზრას, არსად გაგონილა.

ყოველი ქართული გაზეთი რა მიმართულებაც უნდა ჰქონდეს, მოვალეა, ჩვენი ფიქრით, აღნიშნოს ხოლმე ამგვარი ფაქტები, რადგან ჭეშმარიტებასა და სიმართლეს ყველაფერზე უფრო უნდა აფასებდეს და ემსახურებოდეს.

—

—გაზ. ივერიის“ იმავე №- ში ვკითხულობთ.

—„ჩვენი ქვეყნის განსკუთრებულ პირობებში ჩვენთვის აუცილებელია არჩეული დეპუტატების საშუალებით მონაწილეობის მიღება „დუმაში“, რათა ამ დაწესებულების მოწინავე ელემენტებთან ერთად მთელი ჩვენი ძალ-ღონით იერიში მივიტანოთ და ხელი შევუწყოთ იმ წესწყობილების დამხობას, რომელმაც ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი საქართველო და შექმნა ჩვენში საუკუნოდ დაუვიწყარი „შავი დღეები“.

ჩვენი აზრით „დუმა“, სადაც იქნებიან ჩინოსნები, მღვდლები და რუსის აზნაურები, ჩვენთვის თავს არ გამოიდებს. სხვაგან უნდა ვეძიოთ საშველი გზა და არა უფლება-მოკლებულ „დუმაში“.

---

# რუსეთი

**სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.** ამ ბოლო დროს რუსეთის საზოგადოებაში ენერგიული პროტესტი გაისმის სიკვდილით დასჯის გამოყველა, გარდა, რასაკვირველია, შავრაზმელთა და მათ სულის ჩამდგმელთა, ამხედრებულია ამ საშინელ და მელცე საუკუნეში სამარცხვინო სასჯელის წინააღმდეგ. გაზეთებში მრავლად იბეჭდება ასეთი პროტესტები და მოწოდებანი, რათა ყველა, ვისაც კი ადამიანობა შერჩენია, შეუერთდეს ამ ყოვლად სამართლიან და უმაღლეს კაცთ-მოყვარულ მოთხოვნას.

პეტერბურგის კონსტ.-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტი, პიროგოვის (ექიმთა) საზოგადოების გამგეობა, პოლიტეხნიკურ და ბუნების მეტყველების კურსებზე მოსწავლე ქალები (ხელს აწერს 189 ქალი), ტვერის გუბერნიის გლეხობის შეგნებული ნაწილი და ნოქრები აცხადებენ: „ღრმად აღშფოთებულნი საზოგადოდ ადამიანის სიკვდილით დასჯის გამო, ხურვალე და ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ოჩაკოვის სამსჯავროს განაჩენის წინააღმდეგ, რომლითაც ლიეტენანტ შმიდტს და ზოგიერთ მის თანამონაწილეთ სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა (შმიტდს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს). ვიმეორებთ შმიდტის დამცველის სიტყვებს:

„არ გაბედოთ მოკვლა!“

**გ. გაპონი.** როგორც მკითხველებმა იციან, ცნობილი გაპონი დაპატიმრებულია. გაპონს დამცველად მოუწვევია ნაფიცი ვექილი ს. პ. მარგოლინი.

**სამხედრო მინისტრის განკარგულება.** სამხედრო მინისტრ რედიგერს მხოლოდ ამ მიმდინარე წლის 24 თებერვალს გახსენებია განკარგულების მოხდენა ქ-ნ კუროპატკინის მიერ (კუროპატკინის ცოლი) იმ სახლების დაცლის შესახებ, რომელიც მას დღემდე თურმე მუქთად ხაზინის ხარჯზე ეჭირა.

**ერთგული სენატორი.** ოდესის გრადონაჩალნიკი ნეიდგარდტი ოდე-

---

ბივით ერთი მეორეს ვულიმოდით. ვდღესასწაულობდით, რომ ხალხის აღფრთოვანებამ, ხალხის გულიდან ამონახეთქმა თავისუფლების სიმღერამ თავზარი დასცა ჯაშუშ-მტარვალებს, ბიუროკრატიას. იგინი შედრკენ, ვითომდა ნიღაბი ჩამოიხსნეს, „თავისუფლების ბათილამა“ გადმოგვიგდეს და სადღაც მიიმალნენ.

წითელი დროშები ჰაერში ფრიალობდენ, კაზაკ-სალდათები სალამს გვაძლევდენ, ჩვენც მათ ალტაცებით ვეგებებოდით და ყოველივე დანაშაული შევუნდეთ.

მაგრამ... აგერ გათენდა 22 ოქტომბერი. ხალხის ნაძირალებს, ადამიანთა ანარეკლებს ძალ-ღონე მოეკრიბნათ და ძველის მონობის აღსადგენათ ქუჩაზე დახროვილი გამოსულიყვნენ. „თავისუფალი მოქალაქენი“ გაკვირვებით შეჰყურებდენ მათ ზეიმს. დარაზმული ჯარი კი მოწიწებით გზას აძლევდა მათ და ქორიგით თვალებს აქეთ იქით აცეცებდა. უცბად გავარდა ერთი თოფი, მას მოჰყვა მეორე, მესამე... მეათე... მეასე. აქამდე უდარდელად მოსეირნე ხალხი პანტასავით ეგებოდა მიწაზე. გმინვა და ოხვრა, წყევლა და კრულვა გაისმოდა ჰაერში. სისხლმა მორწყო ქვაფენილები, ცრემლებმა წალეკეს ჩვენი სიხარული, ჩვენი თავდავიწყება. გამოვფხიზლდით სიზმრიდან და დავინახეთ, რომ მოტყუილებულნი ყოფილვართ. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ჯოჯოხეთური ტანჯვა და დღევანდლამდე არ შეწყვეტილა.

თურმე ჩვენ მსხვერპლი შევიქენით ერთის უშველებელის, გრძნეულთათვისაც კი წარმოუდგენელის პროვოკაციისა, თვალთმაქცობისა. ჩვენგან ყბად აღებული ბიუროკრატია ჩვენზე ჭკვიანი გამოდგა. ცბიერმა გულუბრყვილოებს ცბიერი მახე დაგვიგო—რომ გაეგო თავისის მოწინააღმდეგის ძალა—და ჩვენც ბელურასავით ორივე ფეხით კაკანათში გავებით. დიახ, მოვტყუვდით! ჩვენ დაგვავიწყდა, რომ საუკუნოებით შექმნილი ვერაგობა ერთ დღეს არ ამოიფხვრებოდა, ჩვენ დაგვავიწყდა, რომ არამც თუ მხედრობა და ჩინოსნები, არამედ ათასის წლობით მონობაში აღზრდილი და როზგქვეშ გატარებული „ბუნებით რუსები“ ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდენ ჩვენ—არა „რუსებისა და აზიატების“—თავისუფლებას და დაგვინახეს რა მოუმზადებელი, ერთხელ კიდევ გამოითარეშებს. აშკარა მტერს კაცი მომზადებული უნდა დახვდეს! ჩვენ კი დავივიწყეთ ეს საანბანო ჭეშმარიტება და ჩვენი ავლა-დიდება, ჩვენი ფიზიკური და მორალური ძალა წინ გადავუშალეთ, ჩვენი ბანქო გადავუხსენით ჩვენ მოპირდაპირეს. დაგვავიწყდა, რომ ჩვენ შორის მცხოვრებ რუსების უმრავლესობა—როგორც გაბატონებული ხალხი,—და გაბატონების მოსურნე ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ერი ჩვენი თანაგრძნობი არ იყო. აი, რატომ გაჩნდენ ჩვენში ხულიგანები.

პირველის გამარჯვებით გახარებულთ, გადაგვავიწყდა რუსეთის მხედრობის ძლიერება უიარაღო ხალხის წინაშე და ზოგიერთი მებრძოლ პარტიათაგანი ირწმუნებოდა: „ჯარი ხალხისკენ არისო“. ხალხიც ენდო თავის მესვეურთ და ის კი აღარ იკითხა: საიდან, ან როგორ იქმნებოდა ჯარი—ეს აზარმაცი მონარქიისა—ხალხის მომხრედ, როდესაც ბიუროკრატიის აზრით რუსეთში ხალხის მაგიერ ორფეხა სულდგმულები ცხოვრობენ, რომელთათვისაც შეცდომით ადამიანები დაურქმევიათ. ასეთი აზრისაა ბიუროკრატია წმინდა წყლის რუს-გლეხების შესახებ, ხოლო არა რუსები ხომ ადამიანებათ არც კი მიაჩნიათ, რასაც ასი წლის გამოცდილება და დღევანდელი თავზარდამცემი და უღვთო ამბები გვიმტკიცებს.

გადახედეთ მრავალ ტანჯულ ქართლს, გადაიარეთ იმერეთი და მაშინ დაინახავთ იმ სიმძულვარეს, იმ შურისძიებას, რომელსაც რუსეთის ბიუროკრატია ჩვენდამი გულის სიღრმეში მუდამ ატარებდა.

აღარ არის სიცოცხლით სავსე იმერეთის დაბა-ქალაქები, აღარ ისმის მკვირცხლ იმერთა სიცილ-ხარ-

საში მომხდარ ამბების დროს რევოლიუციონერთა წინააღმდეგ „უმოქმედობის“ გამო სენატორ კუზმინსკის პასუხის გებაში მიიცია.

**ნაწამები ქალის წერილის გამო.** გაზ. „რუსში“ დაბეჭდილ სპირიდონოვის ქალის წერილს, სადაც აწერილია ამ ქალის წამება, ბიუროკრატიულ წრეებში ერთი ალიაქოთი გამოუწვევია. იუსტიციის მინისტრ ცნობილ აკიმოვს განკარგულება მოუხდენია, პასუხის გებაში მიეცეს გაზ. „რუსის“ რედაქტორი სპირიდონოვის წერილის დაბეჭდვისთვის, სადაც „ჩირქი ეცხება ყოვლად უმწიკვლო მხედრობას“. ამ რიგად, უნდა დასჯილიყო „რუსის“ რედაქტორი ამ შემაძრწუნებელი ფაქტების გამომჟღავნების გამო და არა ის ვაჟბატონები—ჟდანოვი და აბრამოვი,—რომელთაც ჩაიდინეს საზიზღარი მხეცობა და თავიანთ ველურ ინსტინქტების მსხვერპლად გახადეს საცოდავი ქალი.

გამოძიებას „რუსი“ს რედაქტორი გაუნთავისუფლებია პასუხის გებისაგან, მაგრამ ჟდანოვს, აბრამოვს და ძმათა მათთა ნეტავი როდის მოეკითხება ცოდვაო?—ჰკითხულობს გაზეთი.

## უცხოეთი

**ავსტრია.** 23 თებერვალს გაუჩის სამინისტრომ წარუდგინა ავსტრიის რეიხსრატს კანონპროექტი საყოველთაო არჩევნების შესახებ. ავსტრია იქნება დანაწილებული ასარჩევნო ოლქებად. თითო ოლქი თითო დეპუტატს აირჩევს. არჩევის უფლება ექნება ყოველ მამა-კაცს, 24 წლიდან დაწყებული. ერთ კაცს ერთი ხმა ექნება. არჩევნება მოხდება ფარული კენჭის ყრით. თუმც ეს კანონი დიდი ნაბიჯია წინ დემოკრატიის გამარჯვების გზაზე, მაგრამ სრული თანასწორობა მაინც არ არის დაცული. მაგალითად, პოლშელების ნაკლებ რიცხვს იმდენივე უფლება ეძლევა, რამდენიც რუსინების ეტ რიცხვს, აგრეთვე გერმანელებს ეძლევათ უპირატესობა ჩეხებთან შედარებით, ხომ საარჩევნო ოლქში რომ 26 ათასი მცხვრებია, ზოგში 70 ათასია, ასე რომ 26 ათას კაცს იგივე ხმა ეძლევა, რაცი 70 ათასს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოდ ვთქვით, ხსენებული კანონი ბევრად უფრო დემოკრატიული იქნება, ვიდრე ამ ჟამად მოქმედი საარჩევნო კანონი.

**ინგლისი.** ქვედა პალატამ 363 ხმის უმეტესობით 110 ხმის წინააღმდეგ გარდასწყვიტა დაენიშნოს დეპუტატებს ჯამაგირი, სამას-სამასი გირვანქა სტერლინგი წელიწადში. თუ ეს გადაწყვეტილება მოწონებულ იქმნა ლორდთა პალატის მიერ და დაკანონებული, მაშინ ღარიბებსაც გაუადვილდებათ დეპუტატებად შესვლა პალატაში.

## დეპეშები

(ს. პეტერბურგის სააგენტოს დეპეშები.)

**პეტერბურგი**, 4 მარ. „ნაშა ჟიზნის“ რედაქტორების საქმის გარჩევის დროს სენატის წევრთა შორის მოხდა უთანხმობა 129 მუხლის შესახებ. ეს მუხლი ეხება საწინააღმდეგ თხზულებათა გავრცელებას. სენატორების ტუსაუ და ფოინიცკის მოთხოვნილების თანახმად საკასაციო დეპარტამენტი შეუდგება იმ აზრის ხელახალ შემუშავებას, თუ როგორ მოეპყრან საწინააღმდეგო თხზულებათა გამვრცელებელთა 17 ოქტომბრის მანიფესტის მიხედვით—10 მარტისთვის არის დანიშნული პეტერბურგის უნივერსიტეტში არჩევნები სამ პროფესორ კანდიტატისა სახელმწიფო საბჭოს წევრობაზე. ახალკვირისთვის მოხდება კრება სრულიად რუსეთის ამომრჩეველთა მეცნიერების აკადემიისა და უნივერსიტეტებისაგან საბჭოს ექვსი წევრის ამოსარჩევად. სატახტო უნივერსიტეტები მეცადინობენ, რომ მიიღონ უფლება და მოუკიდებელ ერთეულ ამომრჩეველთა.

**სევასტოპოლი**, 5 მარტი. შმიდტის კასაციური განსაჩივრება უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. შმიდტს დახრჩობა დახვრეტად შეუცვალეს. ეს დადგენილება დღეს ეგზავნება ოჩაკოვზე „პრუტის“ კომანდირს. შმიდტი და სხვა სიკვდილით დასასჯელნი ოჩაკოვზე არიან.

**ტოკიო**, 5 მარტი. კუნძულ ფორმოზადან იუწყებიან, რომ საშინელ მიწის ძვრამ მაგაში რამდენიმე ასი სახლი გაანადგურა. მკვდრები და დმსახიჩრებულნი ასობითაა. რუსის რევოლუციონერები შუამდგომლობენ ნაგასაკში ყოველ დღიურ გაზეთის გამოცემის შესახებ.

**ბაქო.** 5 მარტი. მღელვარება მოსწავლეთა შორის თან და თან ძლიერდება. ალექსანდრეს და ლავროვსკის გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებელში სწავლა შეწყვეტილია. მოწაფეები მხარს უჭერენ ტეხნიკურ სასწავლებელს, რომელიც დაიხურა ტეხნიკთა და დირექტორ მიხალევსკის შორის მომხდარ კონფლიკტის გამო. დღეს გიმნაზიებს კაზაკები არტყიან გარს. სომხეთ-თათართა წარმომადგენლების კრება თფილისში აქ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

**პეტერბურგი** 5 მარტი. გარეშე საქმეთა სამინისტროში სადილი გაუმართეს პეტერბურგში ახლად დანიშნულ იაპონიის ელჩს.

**კოვნა**, 5 მარტ. ვიღაც ბოროტ გამზრახველნი დაეცენ გორდონს, სახელმწიფო პალატის მმართველის მოადგილეს, და დაახალეს რევოლვერი. გორდონი უვნებლად გადარჩა.

**ეკატერინოსლავი**, 5 მარტი. ბახმუტის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 548 ამომრჩეველი, არჩეულია 194 რწმუნებული, მათ შორის 6 მღვდელი, 31 გლეხი, 1 პოლონელი, 5 ებრაელი, 151 მოახალშენე-ნემეცი.

**პერმი**, 5 მარტი. საგუბერნიო საპყრობილიდან შვიდი პოლიტიკური დამნაშავე გაიქცა

**ვარშავა**, 5 მარტი. დილით 6 რევოლვერით შეიარაღებული პირი შეიჭრა საპყრობილის ეზოში, მძიმედ დასჭრეს საერობო დარაჯი, გაიტაცეს პოლიტიკური ტყვე, რომელსაც ბრალდებოდა უბნის ზედამხედველის მოკვლის განზრახვა და მიიმალენ.

**ხერსონი.** ანანიევის მაზრაში ყრილობებმა ამოარჩიეს საპატიო კაცები. უკიდურესს პარტიათა წარმომადგენლები გააშავეს.

**პოლტავა.** 5 მარ. ხალხის თავისუფლების პარტია (კონსტ.-დემ.) ბეჯითად ეკიდება. არჩევნების საქმეს. დაასახელეს კანდიდატი, მათ. ქრიცხვში მწერალი კოროლენკოც გადასწყვიტეს შეუთანხმდენ უკრაინის დემოკრატიულ პარტიასა და ებრაელების გაერთუფლებიანების კავშირს.

**ხარკოვი.** 5 მარ. ბელგრადში 2000 წვრილ მემამულეთაგან კრებაზე 3 გამოცხადდა. რწმუნებულად არჩეულ იქმნენ ზემსკი ნაჩალნიკი და თავადაზნაურობის სამზრუნველოს წევრი. ორივე უკიდურესი მ-მარჯვენეა.

**პეტერბურგი** 4 მარ. სათავადაზნაუროს საკრებულოში მოხდა კრება განათლების ლიგის დამფუძნებელ წევრთა. თავმჯდომარეობდა პროფესორი კარპოვიჩი, სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორებმა კარეევმა და კოვალევსკიმ, მოხსენება წაიკითხა ფალბურგმა. ნოვიკოვმა რეზოლიუცია წარადგინა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. კრება ტაშის ცემითა და „ძირს სიკვდილით დასჯა“ ს ყვირილით მიეგება ამ რეზოლიუციას. პოლიციის განკარგულებისა გამო თავმჯდომარემ კრება დახურა. დაატუსაღეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ნოვიკოვიც.

---

ხარი. ბულბულის ნაცვლად წალკოტ-იმერეთს თავზე დაგრგვინავს თოფ-ზარბაზნები. მთვარის მაგიერ ღამ-ღამობით მას ანათებს ცეცხლის ალი. კდემა მოსილ ქალ-რძალთა მაგიერ თქვენ შეხვდებით ნამუს ახდილ, გაუპატიურებულ დედაკაცებს, სადაც კი ჯარი შესულა და სადაც კი მოუსწვრიათ 11—12 წლის გოგოები და 60 წლის ბებერიც კი არ დაუნდვიათ. ამაყ ვაჟკაცების ნაცვლად თქვენ აქ ნახავთ გაძარცულ, დალევრემილ და გამათრახებულ გლეხებს, ან დახვრეტილ და ჩამოხრჩობილთა გვამებს... ტყვე-ველად გახიზნულ ქალ-ბავშთა გოდება და ტირილი ზეცასა სწვდება. ცა კი, ცა ეს უსამართლო; გულ გრილად დაჰყურებს მათ უბედურებას! მითხარით ერთი, რომელ ლეკიანობას, რომელ ყიზილბაშობას ჩამოუვარდება ეს უღმერთო და უსინდისო თარეში. აბა მაჩვენეთ, რომელი ახლად შემოსეული მტერი აოხრებს ასე ქვეყანას, თუ არა ძველი შურის მაძიებელი მტერი, რომელსაც ჩვენი განადგურება, დედამიწის პირიდან აღგვა სურს. მაჩვენეთ ერთი ჩვენ ისტორიაში ისეთი თავ-ზარ დამცემი ამბები! მართალია წინათაც გვჟლეტდენ ხოლმე ოსმალები, ან სპარსები, მაგრამ ხალხი მაშინ შეიარაღებული მაინც იყო, შეძლებისა დაგვარად ვაჟკაცურად მაინც იგერიებდა თავის მოსისხლე მტერს, მაგრამ დღეს კი გულ-ხელდაკრეფილნი შევყურებთ, როგორ აუპატიურებენ ჩვენ დედებს, დებს, რძლებს, როგორ გვინადგურებენ სახლ-კარს, სარჩო საბადებელს... ვაი, ჩვენ სირცხვილს. ვაი, ჩვენ თავის მოჭრას!

მერე განა რა დავაშავეთ ასეთი? ესა, რომ ჩვენი ხალხი (გლეხობა) უფრო განვითარებულია, უფრო შესმენილია რუსის გლეხობაზე? ან იქნება ის არის ჩვენი დანაშაული, რომ სათავეში ჩავუდექით მთელის რუსეთის მოძრაობას, და რუსებთან ერთად ვთხოულობთ ადამიანურ ცხოვრებასა? დიახ, ჩვენი წარმატება ლახვარივითა ხვდებათ გულში, ჩვენ მტერ-მოყვარეთ და, როგორც ქართველებს, „ცერემონიას“ აღარ გვიწევენ. მე თქვენ მოგახსენოთ ურცხვი ბიუროკრატია გასამართლებელ საბუთს ველარ იპოვნის, რომ ევროპის მთავრობათა წინაშე თავი გაიმართლოს?!...

„ციხე შიგნიდან გატყდებაო“ ნათქვამია და დიდი ცოდვა მიუძღვის ჩვენ აწიოკებაში ჩვენებურ ჯაშუშებსაც, ჩვენთვის უკუღმართმა რუსულმა აღზრდამ და ასის წლის გარუსების პოლიტიკამ ბევრი ქართველი გადააგდო გზიდან, ბევრი მათგანი გარყვნა და ზნეობა გონებით დაადაბუნა, მაგრამ მოვა დრო და ხალხი ღირსეულად დასჯის ამ თავის ულირს შვილებს, დღესა თუ ხვალ გაუსწორდება.

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს
შენ აღთქმათა, ბრმაო მიგანდობდი,
გუმსხვერპლიდი ჩემ გულის თქმათა!

ასე მოსთქვამდა ჩვენი დიდებული მგოსანი, როდესაც საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა გადატრიალდა და ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი მსოფლიო მწუხარება მიეცა. ამავე სიტყვებით მივმართავთ დღესაც ჩვენ „გამაბედნიერებელ“ ბიუროკრატიას, მაგრამ სასოწარკვეთილებას კი აღარ ვეძლევით. ჩვენ გვწამს, რომ მალე დადგება დღე განკითხვისა და ბარათაშვილის გულის თქმა—ჩვენის ქვეყნის თავისუფლება—ჩვენის მრავალ ტანჯულ ერის აღმგზნებელ ცეცხლად გადაიქცევა, ვინაიდან თითოეულ ჩვენგანს,—რა კლასისაცა და წოდებისაც უნდა იყოს იგი—პირველ ყოვლისა სწყურია სიცოცხლე და თავისუფლება!...

ია ეკალაძე.

---

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. ლ. ბახტაძე.

სტამბა ი. ვ. ქუთათელაძისა ფრეილინის ქუჩა, № 12.